სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნადარეიშვილის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) მიხეილ ნადარეიშვილის სახელობის სტიპენდია (შემდგომში - „სტიპენდია“) ენიჭება უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა მათემატიკის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე III-VII სემესტრის ერთ სტუდენტს.
2. სტიპენდიის დაწესების მიზანია ბაკალავრიატის მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აკადემიური მოსწრებით გამორჩეული სტუდენტების წახალისება სტატისტიკის, მონაცემთა მეცნიერების ან დიდი მონაცემების მიმართულებით სწავლის სამაგისტრო საფეხურზე გაგრძელებისთვის.
3. სტიპენდია ინიშნება უნივერსიტეტის ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ყოფილი კურსდამთავრებულის, მიხეილ ნადარეიშვილის ინიციატივით და მისივე დაფინანსებით.
4. სემესტრის განმავლობაში ინიშნება ერთი სტიპენდია.

5. III-IV სემესტრის სტუდენტებისათვის სემესტრული სტიპენდია გაიცემა შემდეგი სახით:

ა) სტიპენდია - 100 ლარი თვეში (საშემოსავლოს გარეშე);

გ) სტუდენტებისათვის ანაზღაურდება Coursera-ს კურსებისთვის გადახდილი საფასური შემდეგი მიმართულების კურსებში: ალბათობის თეორია, სტატისტიკა, მონაცემთა მეცნიერება, მანქანური დასწავლა, ხელოვნური ინტელექტი, პროგრამირების ენა R, პროგრამირების ენა Python. ანაზღაურდება სემესტრში მაქსიმუმ ორი თვე, ჯამში არაუმეტეს 300 ლარი ღირებულების (საშემოსავლოს გარეშე). ანაზღაურდება კურსების გავლის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ.

6. V-VI სემესტრის სტუდენტებისათვის სემესტრული სტიპენდია გაიცემა შემდეგი სახით:

ა) სტიპენდია - 100 ლარი თვეში (საშემოსავლოს გარეშე);

ბ) სტუდენტებისათვის ანაზღაურდება Coursera-ს კურსებისთვის გადახდილი საფასური შემდეგი მიმართულების კურსებში: ალბათობის თეორია, სტატისტიკა, მონაცემთა მეცნიერება, მანქანური დასწავლა, ხელოვნური ინტელექტი, პროგრამირების ენა R, პროგრამირების ენა Python. ანაზღაურდება სემესტრში მაქსიმუმ ორი თვე, ჯამში არაუმეტეს 300 ლარი ღირებულების (საშემოსავლოს

გარეშე). ანაზღაურდება კურსების გავლის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ.

7. VII სემესტრის სტუდენტებისათვის სემესტრული სტიპენდია გაიცემა შემდეგი სახით:

ა) სტუდენტებისათვის ანაზღაურდება მომზადება ინგლისურის გამოცდისთვის (500 ლარი ერთჯერადად) და ინგლისურის გამოცდა (550 ლარი) ერთჯერადად მას შემდეგ, რაც აპლიკანტი წარმოადგენს IELTS-ის არანაკლებ 7.5 ან TOEFL-ის არანაკლებ 105 ქულიანი ბარიერის გადალახვის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ბ) სტუდენტებისათვის ანაზღაურდება მაქსიმუმ სამი აპლიკაცია მონაცემთა მეცნიერების სამაგისტრო პროგრამებზე ტოპ-100 უნივერსიტეტში (THE World University Ranking-ის ბოლო გამოცემის მიხედვით) ჯამში არაუმეტეს 850 ლარი ერთჯერადად - წინაპირობაა ინგლისურის გამოცდის შედეგი (IELTS არანაკლებ 7.5 ან TOEFL არანაკლებ 105 ქულა). ანაზღაურება განხორციელდება უშუალოდ მიხეილ ნადარეიშვილის მიერ სათანადოდ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე განსაკუთრებული ნიჭის და სიბეჯითის მქონე სტუდენტზე წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით. თანაბარი მონაცემების მქონე კანდიდატებს შორის უპირატესობა მიენიჭება სტუდენტებს შემდეგი პრიორიტეტულობის მიხედვით:

ა) უფრო მაღალი სემესტრის სტუდენტი;

ბ) წინა წლის სტიპენდიანტი სტუდენტი.

2. კომისიის მიერ გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით სტიპენდიანტი უნდა იყოს სანიმუშო ყოფაქცევის, ავტორიტეტული, მიზანსწრაფული და მოტივირებული სტუდენტი.

3. სტიპენდია უნდა მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს განურჩევლად ეთნიკური წარმოშობისა, სქესისა და ქონებრივი მდგომარეობისა.

4. სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია 1 სემესტრის ვადით. სტიპენდიანტებს მიეცემათ უფლება ხელახლა წარადგინონ საბუთები ახალი ვადით სტიპენდიის მიღებაზე.

5. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

გ) დასაფინანსებელ წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუს შეჩერებულ სტუდენტზე;

ე) დასაფინანსებელ წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს

გადაწყვეტილება გაუცემელი სტიპენდიის სხვა სტუდენტისთვის დანიშვნის თაობაზე;
ვ) თუ ვერ მოიძებნა კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი კანდიდატურა;
ზ) სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტზე.

მუხლი 3. სტიპენდიანტის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია.
2. კომისია იქმნება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორის ბრძანებით.
3. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება ქვემოთ მოცემული წესით:

ა) III სემესტრის სტუდენტები: GPA არანაკლებ 3.80, ფრიადი საგანში „ალბათობის თეორია“;

ბ) IV-VI სემესტრის სტუდენტები: GPA არანაკლებ 3.80, ფრიადი საგნებში „ალბათობის თეორია“ და „მათემატიკური სტატისტიკა“;

გ) VII სემესტრის სტუდენტები: GPA არანაკლებ 3.80, ფრიადი საგნებში „ალბათობის თეორია“ და „მათემატიკური სტატისტიკა“, ინგლისურის იმ დონეზე ცოდნა, რომ მოკლე მომზადების შემდეგ შეძლოს IELTS ან TOEFL გამოცდის ჩაბარება მინიმუმ 7.5 ან 105 ქულაზე, შესაბამისად.

4. არანაკლებ 3.80 GPA -ის და ამასთან ერთნაირი მქონე საუკეთესო აკადემიური მოსწრების კანდიდატების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ სტიპენდიანტის შერჩევა განხორციელდება შემდეგი პრიორიტეტული კრიტერიუმების მიხედვით:
ა) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (წინა სემესტრში გამოქვეყნებული. დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები);
ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები);
გ) ალბათობისა და სტატისტიკის მიმართულებით სემინარებში მონაწილეობა;
დ) Coursera-ს ან სხვა MOOC-ის (EdX, Udemy, ა.შ.) სერტიფიკატების ქონა შემდეგი მიმართულების საგნებში: ალბათობის თეორია, სტატისტიკა, მონაცემთა მეცნიერება, მანქანური დასწავლა, ხელოვნური ინტელექტი, პროგრამირების ენა R, პროგრამირების ენა Python.
5. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ვალდებულია კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების შესახებ.
6. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ "გ“ და „დ” ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

7. სტიპენდია ინიშნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

8. სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა სრულად ერიცხება უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და სტიპენდიანტებისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა.

მუხლი 4. სტიპენდიის მოპოვების მსურველმა ბაკალავრიატის სტუდენტმა კომისიის სახელზე წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება კომისიის სახელზე;

2. ავტობიოგრაფია (CV);

3. მოტივაციის წერილი;

4. აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

5. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ზეპირი გასაუბრება კომისიასთან (საჭიროების შემთხვევაში);

6. Coursera-ს კურსების სერტიფიკატები (საჭიროების შემთხვევაში).